№ 235
შაბათი, 28 ოქტომბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 235
შაბათი, 28 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.


# ქართული თეატრი

**კვირას, 29 ოქტომბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

ახალი პიესები

I

## უცოლოთა კლუბი

კომ. 3 მოქ. გადმ. დ. მესხის მიერ.

II

## დედის ერთა

კომედ. 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი, გარელი, კუნდელი, სარიძე და სხ. ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება წარმოსადგენად ეფ. მესხის მონაწილეობით „დენიზა", „ციხის საიდუმლო" და „ორი გმირი".

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ბ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардiана.**

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

**ს ა ჭ ი რ ო ა**

## მოსამსახურე-ბიჭი

12—13 წლისა. იკითხონ „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქ. № 21. (4—უ.—2)


# ახალი ამბავი

**. გუშინ, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, $2^1/_2$ საათის თათბირის შემდეგ ტფილისის ოლქის სასამართლომ გამოაცხადა ორჯონიკიძეთა, შოშიტაიშვილისა და კონდრატიევის საქმის განაჩენი. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ნიკოლოზ, გედევან და სოლომონ ორჯონიკიძენი და სამსონ შოშიტაიშვილი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან იგჯირში გაგზავნილ 50,000 მანეთის მოპარვაში, ხოლო პავლე კონდრატიევი ამ დანაშაულობის დაფარვაში და გარდაუწყვიტა ხუთივეს ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პირველ სამს სამუდამოდ ციმბირში გადასახლება, სამსონ შოშიტაიშვილს პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ერთის წლით, ხოლო პავლე კონდრატიევს 1 წლით საპყრობილეში დაპატიმრება. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა გარდახდეს ხაზინის სასარგებლოდ დამნაშავეთ 50,000 მანეთი.

**. ხარკოვიდგან გვატყობინებენ, რომ ადგილობრივის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ეგზამენები 15 ამ თვეს დასრულებულა. სულ გაუთავებია 151 კაცს (ოთხი ქალია). ამ რიცხვში სამი სომეხია და ოთხი ქართველი: ივ. ასათიანი, გ. გვერდწითელი, ვ. ხუსკივაძე და პ. კიკალიშვილი. უკანასკნელი დროებით კლინიკაში დარჩა ორდინატორად.

**. იქიდგანვე გვატყობინებენ: ყოველ წლივ ეგრედ წოდებულს „კავკასიურს საღამოს" ემართავდით ხოლმე სომხებთან ერთად. ამ გზით 300—400 მან. გვრჩებოდა ღარიბ სტუდენტების დასახმარებლად; წელს-კი, განზრახულ საღამოს გამართვის ნე-

# ფელეტონი

**წერილები ინგლისიდგან**

წერილი მე XIV

(საკუთარის თან მშრომლისაგან)

საარჩევანო აგიტაცია და დასთა ბრძოლა; კონსერვატორთა ტაქტიკა.—ძველის პარლამენტის დათხოვნის მიზეზები. დასის მეთაურთა მანიფესტები—„ვინც ჩემბერლენის წინააღმდეგია, ის დედოფლის მტერია"; „ვინც ლიბერალთა მომხრეა—ის ინგლისის მოღალატეა".—რა პასუხი გასცა თვით ინგლისმა. ახალის პარლამენტის წევრნი. საფინანსო პოლიტიკა ჩემბერლენისა და იმის შინაურებისა.

კარგა ხანია ინგლისს ისეთი ცხარე საარჩევანო ხანა აღარ გამოუცდია, როგორიც დღეს დამთავრებული არჩევანები იყო. პოლიტიკურმა აღშფოთება-აღელვებამ უკანასკნელ ხარისხამდე მიაღწია. ჰორებსა და ხრიკებს, სალიბერალო ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულს, დასასრული არა ჰქონდა. მაღალის საზოგადოების მანდილოსანნი, არისტოკრატიულ და ფინანსიურ წრეთა გაიძვერანი, კროკეტისა, დოღებისა და ნადირობის ავან-ჩავანნი, იჯარებისა და განგებ გაბერილ საფინანსო ამხანაგობათა საეჭვო წარმომადგენელნი, „დიდებულის" ეკკლესიისა და კათოლიკეთა მღვდელნი, უმთავრესად-კი ლუდისა და არყის ქარხნების და ყავახანების პატრონნი—ყველანი აწინდელის მთავრობის სასარგებლოდ ლიბერალების წინააღმდეგ აღსდგნენ და ამხედრდნენ. ასეც უნდა მომხდარიყო.

არისტოკრატია მხარს უჭერს მთავრობას, რომლისაგანაც 90 მილიონი მანეთი სახელმწიფო ფული მიიღო ღარიბებისთვის. საფინანსო საქმის გაიძვერანი სამაგიეროს უხდიან ლიბერალებს ბევრი რამისთვის და, სხვათა შორის, ამას წინად გარდაცვალებულ მთავარ მოსამართლის ლორდ როსსელის დანიშვნისათვის, იმ როსსელისა, რომელიც საჯაროდ, ლონდონის ლორდ-მერის სადღესასწაულო ნადიმების დროს ხმა-მაღლა ჰკიცხავდა მექრთამეობას, სიყალბეს, გაიძვერობას, ერთის სიტყვით ყველა იმას, რაც-კი ფინანსისტთა წრეებში ჩვეულებად გადაქცეულა; სამღვდელოება სამინისტროს მხარესაა იმიტომ, რომ სამინისტრომ იმავე სახელმწიფოს ხაზინიდგან, ლიბერალების სურვილის წინააღმდეგ, გადასცა 15 მილიონი მანეთი მათს სკოლებს, სკოლებსა, რომელთაც მთავრობისა და საზოგადოების მხრივ არავინ თვალ-ყურს არ ადევნებს და რომელნიც მხოლოდ და მარტოოდენ სარწმუნოებრივ სიძულილსა სთესენ ქრისტიანეთა შორის. რაც შეეხება ლუდისა და არყის ქარხნების და ყავახანების პატრონთ—ეს ყოვლად შემძლებელნი და საკვირვლად მდიდარი ვაჟბატონნი სიკვდილ-სასიცოცხლოდ შეიარაღდნენ ლიბერალების წინააღმდეგ. ხოლო ამ შეიარაღების მიზეზი ის არის, რომ ლიბერალებმა მოისურვეს ახალის კანონის გამოცემა, რომლის ძალითაც ადგილობრივმა საბჭოებმა თვალყური უნდა ადევნონ ხოლმე ყავახანებს და გამოაქვეყნონ იქ მომხდარი ბოროტ მოქმედებანი.

არც-კი დაიჯერებთ: სალიბერალო დასის და საუკეთესო ტრადიციების ძლიერსა და უმთავრეს მტერს სწორედ ეს ლუდისა და არყის მხდელნი და ყავახანის პატრონნი შეადგენენ... ერთ კავშირად გაერთიანებულთ, სწორედ ამ ვაჟბატონებმა გადააყენეს 1895 წელს ლიბერალთა სამინისტრო. ამავე კავშირის წევრებმა სამხრეთ აფრიკის მეომართა პატრიოტულ ტანისამოსში გამოწყობილთ გამოიდეს თავი ამ არჩევანების დროს და მოისურვეს ლიბერალების გაშავება. იმათი მთავარი წინამძღოლი და გზის მაჩვენებელი იყო და არის ჩემბერლენი, რომელმაც სრულიად დაჩრდილა სალისბიური, ბალფური და სხვა მინისტრები. როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო, ნათქვამია: ყავახანებისა და ლუდხანების სქელ ჯიბა პატრონთ წინამძღოლიც... მაგრამ ქვემოდ გაიცნობთ, რა კაცია ეს წინამძღოლი.

იქმნება იკითხოს ვინმემ: რად დასჭირდა მთავრობას ვადამდე $1^1/_2$ წლით ადრე პარლამენტის დათხოვნა, იმ პარლამენტისა, რომელშიაც მთავრობის მომხრეთა რიცხვი 128 კაცით აღემატებოდა ოპოზიციის რიცხვსაო? რად მიეცა ეს სამინისტრო ახალ არჩევნების განსაცდელს, როდესაც პარლამენტში ზურგი ასეთის უმრავლესობით ჰქონდა გამაგრებულიო?

მიზეზი სულ უბრალოა.

საქმე ისაა, რომ ამ ბოლოს დროს პატრიოტული გრძნობა და გატაცება გამარჯვებისა გამო სამხრეთ აფრიკაში შესამჩნევად დაცხრა, ხოლო პატრიოტობის დაცხრომას ხელი შეუწყო: სამხედრო გასეირნობის ნაცვლად ომის ერთის წლით გაჭიანურებამ; 750 მილიონის დახარჯვამ ომისთვის; სხვა 500 მილიონის დახარჯვამ, რომელიც მთავრობამ ომის დაწყობამდე საომარ მასალასა და სამხედრო სურსათის დამზადებას მოანდომა; იმ ბრალდებებმა და პროცესებმა, რომელიც შედეგი იყო იჯარების დროს ჩადენილ სისაძაგლისა; ბოროტ-მოქმედებებმა და უწესოებამ ჯარის სამხედრო-სამკურნალო ნაწილში,—ყველა ამან საზოგადოებაში უკმაყოფილება დაჰბადა, და წინ და წინვე აშკარა შეიქმნა, რომ მომავალ წელს, როდესაც პროცესები და კომისიათა, ანგარიშები გამოქვეყნდება და როდესაც ამომრჩეველთა რიცხვს რამდენიმე ათასი კაცი მიემატება*), მთავრობა ეგრე ადვილად ველარ გაივლიდა ფონს და ველარ გაიმარჯვებდა.

აი სწორედ ამ მიზეზით დაითხოვეს ისე მოულოდნელად პარლამენტი და 21 დღეში ახალი არჩევნებიც დაასრულეს.

პარლამენტის დათხოვნისას, სალიბერალო ოპოზიციის დასამცირებლად და ამომრჩეველთა თვალში დასაცემად, მთავრობამ, რასაკვირველია, ჩემბერლენის მრავალ-მეტყველ ბაგეთა დახმარებით, საჯაროდ გამოაცხადა, რომ ოპოზიციის ზოგიერთმა ცნობილმა წევრებმა სამშობლოს უღალატეს და მტერს დაუჭირეს მხარიო.

აი, საკვირველება თუ გნებავთ, ეს არის! ღალატი, მერე სად? პარლა-

*) ჯერ ამომრჩეველთა სიაში არ შეუტანიათ იმათი გვარები, რომელნიც 1895 წლის შემდეგ სრულ წლოვანნი შეიქმნენ და რომელთაც ცენზით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ.

ბა არ მოჰყვა რექტორმა და ამით ეს საშუალება სრულიად მოესპოთ კავკასიის ღარიბ სტუდენტებს თავიანთ აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ გარემოებას, უეჭველია, ჩვენი ქველ-მოქმედნი ყურადღებას მიაქცევენ.

⁂ გუშინ ყარსიდგან დეპეშა მოვიდა, რომ 27 ოქტომბერს, დილით მე-265 ვერსზედ, სადგურ სტავკა-მაცრაში სახალხო მატარებელი № 75 ლიანდაგიდგან გადავარდა, და მგზავრთა შორის მოკლულნიც და დაჭრილნიც არიანო.

დეპეშების მიღებისთანავე რკინის გზის სამსახურის უფროსნი და რკინის გზის უფროსის თანაშემწე ინჟინერი შაიკევიჩი სასწრაფო მატარებლით უბედურების ადგილობრივ დასათვალიერებლად წავიდნენ და თან რკინის გზის მკურნალები წაიყვანეს, რომ დაჭრილთ და დაშავებულთ შემწეობა აღმოუჩინონ.

⁂ განზრახვა თურმე აქვთ ტფილისში ისეთივე კერძო დედათა საკომერციო სასწავლებელი დააარსონ, როგორიც ქ. კიევში არსებობს.

⁂ როგორც ისმის, გორის მაზრის სამხედრო უფროსი პოდპოლკოვნიკი შუბერსკი სხვა უფრო მაღალს თანამდებობაზედ თურმე გადაჰყავთ.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მოსთხოვა ტფილისის ვაჭართა მამასახლისს, წარმომიდგინეთ საჭირო ცნობები იმ ვაჭართა შესახებ, რომელნიც ამ წლის 26 მარტს ვაჭართა მამასახლისის არჩევნებს დაესწრნენ, რადგან აღნიშნულ კრების ოქმში ზოგიერთა დამსწრე ვაჭრების შესახებ საჭირო ცნობები არ არის აღნიშნულიო. გვაცნობეთ აგრეთვე ის, ვინა გყავთ დროებით ვაჭრებად მიღებულიო.

⁂ ტფილისის მაზრის უფროსი სთხოვს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ ახლად დასახლებულს „ღრმაღელეს“, რომელიც ტფილისიდგან 5 ვერსის მანძილზედ მდებარეობს, „პოსადის“ უფლებანი მიეცეს და „ნიკოლოოზის პოსადი“ დაერქვას.

⁂ მთავრობამ ნება დაჰრთო გორის მაზრის იმ სოფლების მცხოვრებთ, რომელნიც 1899 წლ. წყალდიდობამ და სეტყვამ დააზარალა, საკომლო სახელმწიფო და საერობო გარდასახადთა შეუტანელ გარდასახადის შესატანად სხვა ვადა დაენიშნოთ. ხუთის წლის ვადა დაენიშნათ: მეღვრისს, მეხლითს, ოქონას, ცეროვანს, მავდას, ახალ-თუბანს, სილსა და გომს; ოთხის წლის ვადა სოფლებს: აბისს, ავლევს და კნოლევს; სამის წლის ვადა დიდსა და პატარა ფცას.

⁂ განზრახვა აქვთ დიდსა და ათორმეტ დღესასწაულებში ტფილისში სრულიად მოსპონ საჯარო მუშაობა.

⁂ ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებას გარდაუწყვეტია ნათლუხამდე ცხენის რკინის გზა რაც შეიძლება მალე გაიყვანოს. ამისათვის რწმუნებულს აღნიშნულის საზოგადოებისას უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის — მიჩვენეთ ადგილი, სადაც ავლაბრივს ცხენის რკინის გზისათვის საჭირო თავლებისა და დეპოს აშენება შეიძლებაო.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობის კავკასიის უმაღლეს მთავრობას წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში საწოლები გუბერნიებს შორის იმის-და მიხედვით იქმნას განაწილებული, რამდენსაც თითოეული მათგანი იხდის ხარჯს საავადმყოფოს შესანახად. ეს შუამდგომლობა იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ქუთაისის ერთად-ერთს საავადმყოფოში საწოლები ყველას არ ჰყოფნის და როდესაც ტფილისის საავადმყოფოს მოჰმართვენ ხოლმე თხოვნით ავადმყოფები მიიღონ, უადგილობისაგან ხშირად უარს ეუბნებიან.

⁂ „ახ. მ. მ.“-ს ატყობინებენ განჯიდგან, რომ 23 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზედ, სად. ევლახიდგან 5 ვერსის მანძილზედ, ფოსტის გზაზედ ხუთი ავაზაკი 35 მგზავრს თავს დასხმია. ავაზაკებმა გაძარცვეს 2 ომნიბუსი, 4 ეტლი და 1 ურემი. ეტლში ისხდნენ სასამართლოს მოხელენი: მინასბეკოვი, პეტროსიანი და მელიქ-შახნაზაროვი. ერთმა ავაზაკთაგანმა უთხრა თურმე მეორეს, მინასბეკოვი სწორედ გამომძიებელია და უნდა მოვკლათო, მაგრამ მინასბეკოვს დაურწმუნებია, რომ გამომძიებელი არა ვარო და ამით გადარჩენილა.

---

## ცდა ბედის მონახვისა.

ჩვენებური მღვდელი თუ მთავარ-დიაკონი საეკლესიო ტიბიკონით მიდის იოლად, იმისდა მიუხედავად, მაღალი სასულიერო სწავლა აქვს მიღებული, თუ შინაურულად არის გამოზრდილი და სრულიად არ ენაღვლება და არც ეფიქრება, რომ ივერიის ეკკლესიასაც სჭირია და კიდეც ექნება სალოცავ წიგნების მკაფიო და შეგნებული კითხვა, ქადაგება, შეწყობილი გალობა და მრავალი სხვა რამ, რაც ღვთის მსახურებას გარეგნად ადიდ მშვენიერებს და მლოცველს სასოებას აღუძრავს.

რითი ავხსნათ, თუ არ ამ ცუდის თვისებით ის უკუღმართი ბედი, რომელიც ქართულის გალობის საქმეს ეწია. თითქოს კიდეც მოიწვიეს მუსიკის მცოდნენი და წირვის წესი და სხვა საჭირო საგალობლები ნოტებზედ დააწყობინეს, მაგრამ ჯერ არსადა სჩანს ნაყოფი და ვაი თუ ვერც ახლო ხანში ვიხილოთ. ქუთაისში, სადაც ლიხთ-იმერის გალობის აღდგენას უფრო მეტის მხნეობით შეუდგნენ, შეწყობილი გალობა უფრო ნაკლებად და შეიძლება ითქვას სრულიად არ ისმის, აქ-კი, ქალაქში, სადაც ლიხთ-იქითური გალობის აღდგენის საქმე მგონია დაუსრულებელი დარჩა, უფრო მეტი ნიშანი სჩანს მისი, რომ გალობის სწავლება წინ წავიდეს. ქაშვეთისა და კალოუბნის ეკკლესიებს გარდა, სადაც ქართული გალობა ყოველ კვირა ისმის, პირველში ბ-ნ მონადირიშვილისა და მეორეში ბ-ნ ჩხიკვაძის ლოტბარობით, სიონის დედატაძრისთვისაც მოუწვევიათ ბ-ნი კარგარეთელი, რომელიც კიდეც შესდგომია ბავშვების გაწვრთნას, მაგრამ, როგორც სჩანს, ბავშვების სიცოტავე და სავინიცობო მდგომარეობა გალობას მეტად აფერხებს და ყოვლად შესაძლოა წელიც მოსწყვიტოს, თუ დროით რამე არ ეშველა. საიდგან უნდა გაჩნდნენ მგალობლები, რომ გვარიანი გუნდი დაარსდეს და სიონის შესაფერად გალობაც გაჩაღდეს? ეს მოხერხებული გახდება, ჩვენის აზრით, თუ სიონის გალავანშივე სამრევლო სკოლა დაარსდა მგალობლები მაშინ ვეღარაფერს მოიმიზეზებენ, გალობა სხვა საგანთა შორის სავალდებულო სასწავლად ექნებათ და გუნდის დღეგრძელობაც გახდება უფრო სარწმუნო და დამოუკიდებელი სხვა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ნება-სურვილისაგან.

გალობის გაჩაღებასთანავე ჩვენს ეკკლესიებში ყოვლად საჭიროა, ვისაც ჰმართებთ, სასტიკ ყურადღებას მიაპყრობდნენ, რომ საეკკლესიო წიგნები ქართულის კილოთი წყნარად, გონივრულად იკითხებოდეს და ქართულის კილოთივე იტყოდნენ ასამაღლებელს. დღეს თუ ქართულ წირვა-ლოცვას განათლებული ქართველი ნაკლებად ესწრება, მისი მიზეზი ქართულის ღვთის მსახურების ასეთი არა სასურველი და სამწუხარო მდგომარეობაა.

პეტრე მირიანაშვილი

## წერილი ახალ-სენაკიდგან.

არა ერთხელ ყოფილა ადგილობრივ გაზეთებში მოხსენებული, რომ აქაური მეპურეები და ყასბები ისე არიან გათამამებულნი, რომ არავისი შიში და რიდი აქვთ, მაგრამ ჩვენმა მრავალ გზის სამართლიანმა ჩივილმა ჩაღუღულის წყალი დალია. მეპურეები პურს გაუცრელს აცხობენ, ხორცი არის და ესეც ამაზედ უარესია. გირვანქა ხორცს აქ 9—10 კაპ. ჰყიდიან, რაც სხვაგან იშვიათია. საკლავი საქონელი აქ ისე ძვირი არ არის, რომ ამ ფასად ჰყიდონ ხორცი, მაგრამ ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოდ“. სწორედ ჩვენს თავს არის. აქაურს პოლიციელს ფიქრადაც კი არ მოსდის, რომ გადაჭრილი ნიხრი დაუწესოს ამათ და ისე გაუადვილოს, როგორც ნიხრში იქნება გამოცხადებული. მართალია, ორ-სამ თვეში ერთხელ დაუწესებენ ნიხრს, მაგრამ, საუბედუროდ, არც ერთი ამ ნიხრით არ ჰყიდის სურსათ-სანოვაგეს, რაც უკვე რამდენჯერმე მოუხსენებიათ, სადაც ჯერ არს.

სასადილო-რესტორან სამიკიტნოებში ხომ ერთობ უსუფთაოდ ამზადებენ საჭმლებს. ჭურჭელი მოუკალავია, თევზეულობა დამპალი და გაფუჭებული, მაგრამ ვინ არის პატრონი ყოველისავე ამისა?.. ნუ თუ პოლიციელთა მოვალეობა არაა თვეში ერთხელ მაინც დაათვალიერონ დაბა და თვისს ბედნიერი თვალით ნახონ ის, რაც აღვნიშნეთ?

თითქმის ყოველს დაბა-ქალაქში მთავრობისაგან ნაბრძანებია, რომ კვირა-უქმე დღეებში თორმეტ საათამდე მაინც ვაჭრობა არ იყოს, რომ საბრალო ნოქრებს მცირე მოსვენება მიეცეთ და ეკკლესიაში წირვის მოსმენა შეიძლონ. პირველში ეს სიმპატიური განკარგულება მთავრობისა აქაც სრულდებოდა, მაგრამ, შემდეგ რამდენისამე თვისა, როგორც ბევრი სხვა საქმეც, ესეც დაივიწყეს. კარგი იქნება, ვისგანაც ჯერ არს, ამას კვლავ სავალდებულოდ გაჰხდიდეს.

თითქმის ნახევარ წელიწადზედ მეტია, რაც ამ ჩვენს დაბაში ვიღაც სპარსელმა ეგრედ წოდებული „ლუდი“-ს დუქანი გახსნა. ლუდის ვაჭრობის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არავინ გახდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ლუდთან ერთად ჰყიდიან „ორ ფეხა სულიერებსაც“

---

მენტში. მოღალატენი, მერე ვინ? ლიბერალები. არც ერთი ლიბერალი არ შეიშვება პარლამენტში, არც ერთმა მათგანმა არ უნდა შემწიკვლოს და შეურაცხყოს სახელმწიფოს წმინდათა-წმინდა — პარლამენტიო, გასძახოდა ხმა-მაღლა სამშობლოს მცველი და დარაჯი ჩემბერლენი... და ქუჩის პრესსამაც ამნაირადვე მისცა ბანი: ღალატი, სამშობლოს განსაცდელი მოელისო.

ჩემბერლენი სიხარულს მიეცა. კონსერვატორთა ბანაკის პატიოსანი კაცებიც-კი ზიზღით ერიდებოდნენ ამ გვარ საარჩევანო ხრიკს. მაგრამ მაშინ ჯერ არავინ უწყოდა, სადამდე მიაღწევდა ეს გაიძვერაობა და დაბალის თვისების ოინბაზობა. როდესაც მოღალატეთა სიაში მოაქციეს ჩემბერლენის მოწინააღმდეგეთა ყოვლად პატიოსან საპოლიტიკო მოღვაწეთა გვარები, მაგალითად, ლაბუშერისა, ელლისა, მერიმანისა და სხვათა, განსაკუთრებით-კი, როდესაც საჯაროდ გამოაცხადეს, ხელთ ჩავიგდეთ ლაბუშერის წერილი, პრეზიდენტ კრიუგერთან მიწერილი ომის დაწყობამდე, რომელშიაც ლაბუშერი ურჩევდა მოხუცს, ნუ შეუშინდები გაიძვერა ჩემბერლენსაო, მაშინ ღალატის საქმე სამარცხვინო ფარსად გადაიქცა, ყველას მიერ სასაცილოდ და სამასხაროდ აგდებულ ფარსად.

ამისდა მიუხედავად საპოლიტიკო ასპარეზზედ გაბატონებულ გაიძვერათ დიდი იმედი მიეცათ: ღალატის შესახებ ყვირილით საქმეს მოვიგებთო, აბზობდნენ ეს ვაჟბატონნი. თუმცა ამავე დროს გონიერი კონსერვატორნი ჰგრძნობდნენ, რომ ყველა ამან ნდობა და მხნეობა შეურყია საკუთარ დასის წინ დახედულ წევრებს. ამას აშკარად მოწმობს საარჩევანო მანიფესტები, განსაკუთრებით სალისბიურის მანიფესტი, რომელშიაც პირველი მინისტრი ემუდარება მეგობრებს, ნუ მიგვატოვებთ და კენჭის ყრას ნუ გაექცევითო.

თუ პირველი მინისტრი საცოდავის კილოთი ევედრებოდა მეგობრებს, ნუ მიმატოვებთო, სამაგიეროდ ჩემბერლენი, ჰამილტონი და დასის მებრძოლი წინამძღოლნი დიდის ზარითა და ზეიმით უყვიროდნენ ამომრჩევლებს: მხოლოდ კონსერვატორნი აარჩიეთ ახალ პარლამენტშიო. „თქვენ უნდა პარლამენტში დიდი უმრავლესობა მოგვცეთ“, „ნუ აირჩევთ ნურც ერთ ლიბერალს, ოპოზიციის ნურც ერთს წევრსაო!“ ჰყვიროდა ჩემბერლენი მიტინგებზედ. „ლიბერალნი მოღალატენი არიან. ვინც მხარს დაუჭერს ლიბერალს, ის ბოერებს დახმარებასა და მეგობრობას გაუწევს, ხოლო ინგლისსა და დედოფალს — მტრობასაო!“

ასეთმა არა ჩვეულებრივმა გაზვიადებამ თვით მთავრობის საქმესვე მოუტანა ზარალი, თვით კონსერვატორთ, და მათ შორის ბალფურმა, აღიმაღლეს ხმა უცნაურ ლოღიკის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც სამშობლოს გამყიდველად სთვლიან იმას, ვინც მინისტრს ოპოზიციას უწევს. ასეთი ამბები ოსმალეთში ხდება, იმ ქვეყნებში, სადაც მტარვალობაა გაბატონებული და არა თავისუფალ ინგლისში. კიდეც ამიტომ თავისუფალმა ინგლისმა შესაფერად გასცა პასუხი:

4,500,000 ამომრჩეველთაგან 2,049,000 ამომრჩეველმა ოპოზიციისა და „მოღალატეთა“ მხარი დაიჭირა!.. ხოლო თუ გავიხსენებთ იმას, რომ რამდენისამე თვის წინად მთელს ინგლისში „პატრიოტთა“ ბრბონი ლიბერალებს მიტინგების გამართვის ნებას არ აძლევდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ან ხალხი მიჰხვდა მთავრობის პოლიტიკის სისაძაგლეს, ან კიდევ, როგორც არა ერთხელ გამიგონია, პატრიოტთა მანიფესტაციები მოსყიდულმა კაცებმა და საიდუმლო აგენტებმა მოახდინეს, და ამ რიგად ინგლისში სცადეს მეორე იმპერიის უსაძაგლეს დროის ჩვეულებათა შემოღება, იმ დროისა, როდესაც საფრანგეთში უსაზიზღრესი პოლიტიკური გარყვნილება იყო გაბატონებული და როდესაც მარნი, მოპა და პერსინიე დათარეშობდნენ. როგორც ეხლა ვნახავთ, ჩემბერლენმა თუ არ გადააჭარბა საფრანგეთის ამ შესანიშნავ მძარცველთ, ყოველს შემთხვევაში არც ჩამორჩა მათ.

განა საკვირველი არ არის, რომ თუმცა ოპოზიციას ამომრჩეველთა ნახევარმა დაუჭირა მხარი და მთავრობას ოპოზიციაზედ მეტი მხოლოდ 400,000 ამომრჩეველი ჰყავნდა, პარლამენტში მთავრობამ 20 ან 30 დეპუტატის ნაცვლად, 130 დეპუტატი შეიძინა! ეს საუკეთესო საბუთია იმისა, რომ შემოღებულ იქმნას პროპორციონალურ წარმომადგენლობის სისტემა, რომლის შემოღებაც რამდენი ხანია მოითხოვა აწ უკვე განსვენებულმა ფილოსოფოსმა ჯონ სტუარტ მილლმა. ჯერ-ჯერობით-კი კონსერვატორნი სიხარულს ეძლევიან, განსაკუთრებით ლუდისა და არყის მხდელნი და ყავახანის პატრონნი: ამ ვაჟბატონთაგან 23 კაცი აარჩიეს და თვით არჩევნებსაც ამის გამო „ლუდის მხდელთა არჩევანები“ უწოდეს.

მაგრამ უმთავრესი ამ არჩევანებში აი რა არის: ძველის პარლამენტის დათხოვნის დროს მთავრობის უმრავლესობა 128 კაცისაგან შესდგებოდა. ახალმა არჩევანებმა მთავრობას მხოლოდ ორი მეტი მომხრე შესძინა. აი მხოლოდ ეს მცირე ნაყოფი მოუტანა კონსერვატორებს ათასმა ხრიკმა, მეცადინეობამ, ძველ ჩვეულებათა დარღვევამ, ჭორებმა და ტყუილებმა, საშინელმა ხარჯმა (12 მილიონ მანეთამდე), პატრიოტობაზედ ყვირილმა და სხვამ!

ჩიტი ბრტყვნად არა ღირდაო, სწორედ ამაზედ ითქმის. მეტად ძვირად დაჯდა არჩევანები: თვით იზარალეს, განსაკუთრებით-კი ჩემბერლენმა, კონსერვატორთა ამ ნამდვილმა მეთაურმა, რომელსაც თამამად შეუძლიან სთქვას, რომ არჩევანები ძვირად დამიჯდაო... და ვინ იცის? იქნებ ამ არჩევანებს იმის პოლიტიკური სიკვდილიც მოჰყვეს... ყველამ კარგად უწყის, რომ ეს კაცი ნამდვილი ბოროტი დემონია ძალ-მომრეობისა და ძარცვა-გლეჯის პოლიტიკისა. თუ დღემდე ჩემბერლენს ისე ექცეოდნენ და ებრძოდნენ, როგორც საპოლიტიკო მოღვაწეს შეეფერება, დღეის შემდეგ საეჭვოა, რომ მოწინააღმდეგეთ, მოთმინებიდგან გამოსულთ იმის ხრიკებით, გაიძვერაობით, კერძო წერილების ქურდობით, ამავე თვალით შეხედონ ამ კაცის „მოღვაწეობას“. უკვე რამოდენადმე აჰხადეს ფარდა იმის კერძო ცხოვრებას... და მხა-

რომელნიც, ვინ იცის, რა სენით არ არიან შეპყრობილნი. ამათ მოსვლისა და ნება-რთვის მიცემის შემდეგ დაბაში მრავალი ახალგაზრდა სრულიად გაირყვნა და ერთი თუ ორი ამ სენისაგან კიდევაც გარდაიცვალა, დღესაც ბევრია ლოგინად ჩავარდნილი. ეს არ გვაკმარეს და ასეთი სავაჭრო ეხლა მეორეც გაიხსნა და აქაც იმგვარი ავადმყოფი სულიერია, როგორც პირველში. აი, რითი ისახელეს თავი ჩვენმა დაბამ და მისმა ჭირისუფლებმა. როდესაც ასეთს სავაჭროებს ჰმართავენ, ეჭვი არ არის, ამას მეთვალყურე მკურნალიც უნდა, თორემ უამისოდ დაბა უზრუნველი არ არის, რომ მალე სულმთლად არ დაავადდება და არ გაიხრწნება. აქ კი არც ექიმია ამათთვის დანიშნული და არც სხვა ვინმეა გულ-შემატკივარი. მერე ისიც იმასთანა თვალ-საჩინო ქუჩაზეა გახსნილი ეს სავაჭრო, რომლის მახლობლადაც სამინისტრო დედათა სკოლაა დაარსებული. ვიმეორებთ, ეს გარემოება ღირსია ყურადღებისა და მერე ისიც ადრე და მალე, ვიდრე მეტი უბედურობა არ დატრიალებულა.

ახალ-სენაკელი

## თეატრის მატიანე

1, „უბედური“—დრამა 3 მოქმედებად, კინო-ი მაზარისა, თარგმანი.

2, „თავვის ბრალია“, ვოდევილი, თარგმანი.

ეს ორი პიესა ქართულმა დრამატიულმა დასმა ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, წარმოადგინა. პირველისთვის მთარგმნელს ტყუილად დაურქმევია დრამა, იგი დრამა-კი არა, ნამდვილი მელოდრამაა: ახალ პიესაში მელოდრამის ყველა ატრიბუტს შეჰხვდებით. გამოყვანილია იქ უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანი—პიეტრა (ა. კარგარეთელი), ახალგაზრდა ქალი, ცხოვრების უკუღმართობისა და ბოროტ კაცთა წყალობით მათხოვარად და ლუკმა-პურის მაძიებლად გადაქცეული. ჰხედავთ აგრეთვე თვით ამ ბოროტ კაცსაც—სანჩოს (შათირიშვილი), რომელიც ათას სისაძაგლეს და საზიზღრობას სჩადის, არ ინდობს უშემწეოს, უპატრონოს, ოღონდ-კი თავისი ქვენა-გრძნობანი დაიკმაყოფილოს და თავისი კერძო ცხოვრება კარგად მოაწყოს. შემდეგ ჰხედავთ საზოგადოების იმ უმრავლესობის წარმომადგენელთაც, რომელნიც ყველგან და ყველაფერში სარფასა და სარგებლობას ეძებენ და იმისდა მიხედვით, თუ ქარი საიდგან უბერავს, ხან ერთს ევლებიან თავს, ხან მეორეს. ესენი არიან: პერფექტო (გ. გედევანოვი), ანჯელიკა (ა. გარელი), ლუკრეცია (ნ. გაბუნია-ცაგარლისა), მსაჯული, (კანდელაკი). დასასრულ, ამ გვარ პიესების აუცილებელ გმირსაც ჰხედავთ - მარციალს (კ. მესხი), უდარდელ, უზრუნველ, მაგრამ ამავე დროს ყოვლად პატიოსან კაცს, უბედურთა შემბრალებელს, გაიძვერათა დამსჯელს. ბოროტი კეთილს ებრძვის; მრავალ ვაი-ვაგლახისა და წვალების შემდეგ კეთილი იმარჯვებს და ბოროტი მარცხდება... მეტისმეტად ძველი და გაცვეთილი სიუჟეტია.

რაც შეეხება წარმოდგენას, არტისტების თამაშს ცოტად რაღაც უგულობა, უფერულობა ეტყობოდა, შეიძლება იმ ტომაც, რომ თეატრის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო, თუმცა საერთოდ პიესის წარმოდგენას არ უჭირდა-რა. ეჭვი არ არის, ამ პიესას ბევრად უკეთ წარმოადგენდნენ ესევე არტისტები, მეტი მეცადინეობა და მუყაითობა რომ გამოეჩინათ: საზოგადოდ მელოდრამები ჩვენს დასს ძალიან ეხერხება. კარგად ჩაატარა თავისი როლი ბ-ნმა მესხმა, არც საკვირველია: ბ-ნ კ. მესხის ამპლუას სწორედ ამ გვარი როლები შეადგენენ. ბ-ნმა შათირიშვილმა სავსებით ვერ დაგვიხატა გაიძვერა, ენა-ფლიდი კაცის ტიპი. ეს მსახიობი უფრო ჰკუა მოკლე „ფრანტსა“ ჰგვანდა, ვიდრე გაქნილსა და გამოცდილს ავანტიურისტს. არა უშავდა რა ქ-ნ კარგარეთელს, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ იგი სცენაზედ ყოველთვის ლაპარაკის დროს საოცრად აპრტყელებს სიტყვებს, ეს კი მსახიობის თამაშს ბუნებრივობას უკარგავს. გვარიანად წარმოადგინეს თავიანთი როლები დანარჩენ მსახიობთაც: ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისამ, გარელმა, ბ-ნთ გედევანოვმა და კანდელაკმა.

როლი არც ერთმა არტისტმა არ იცოდა ხეირიანად. სცენიდგან ხშირად მოისმოდა ამ გვარი ლაპარაკი: „მე იქ „უჟე“ ვიყავი“ და სხვა.

მხიარულად ჩაიარა ვოდევილმა „თავვის ბრალია“ და გაცილებით უფრო მხიარულად ჩაივლიდა, ბ-ნ აბაშიძეს რომ როლი ცოტად მაინც სცოდნოდა. საზოგადოდ როლის სრული უცოდინარობა ამ ნიჭიერ მსახიობის ქრონიკულ სენად გიდაიქცა, თუმცა რამოდენადმე ამ სენს სხვა არტისტებიც არ არიან მოკლებულნი. ცოცხლად შეასრულა ახალგაზრდა ქვრივის როლი ქ-ნმა მ. საფაროვ აბაშიძემ.

მოკეთე

## რუსეთი

1892 წ. ქალაქის დებულების მე-142 და 143 მუხლისა თანახმად, უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ ქალაქის საბჭოს დადგენილებათა გასაჩივრების უფლება მხოლოდ კერძო კაცებს, საზოგადოებათა და დაწესებულებათა აქვთ, რომელთა უფლებანიც ასე თუ ისე დაურღვევია ამ დადგენილებათა, ხოლო რაც შეეხება საბჭოთა დადგენილების კანონიერის წესით წარმოებას, ამას-კი თვალ-ყური მთავრობამ უნდა ადევნოს. ამისათვის ქალაქის ხმოსნებს უფლება არა აქვთ საბჭოთა დადგენილებანი გაასაჩივრონ, თუ რომ ამ დადგენილებით მათი საკუთარი პირადი უფლებანი და ინტერესი არ არის დარღვეული და უფლება ეძლევათ მხოლოდ ასეთს დადგენილებას საბჭოსას თავისი განსაკუთრებული აზრი ჩაურთონ.

— უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ ტომრების კერვა ხელობას შეადგენს და ამისათვის მეტომრე ებრაელებს უფლება ეძლევათ თავისს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს გარეშეც იცხოვრონ და მკერვალთა ამქარს მიეწერნენ.

— უმართებულესის სენატის განმარტებით, ქალაქის მხრივ უძრავ მამულების დაფასება საერობო დაწესებულებათათვის სავალდებულო არ არის. ამისათვის აღნიშნულ დაწესებულებათ უფლება აქვთ საერობო გადასახადის გასაწერად ახალი დაფასება მოახდინონ ხოლმე.

— შუა რუსეთის ერთ-ერთს რომელსამე ქალაქმა, უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ მთავრობა ამ წელს არაფერს თურმე არ გარდასწყვეტს.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს სახნავ მამულების განაყოფიერების საშუალებათა განსაკარგებლად მომავალს წელს სოფლის მეურნეთა კრება მოიწვიოს.

— ამ წლის განმავლობაში ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში პრაქტიკულს მუშაობას სავალდებულოს თუ არა სავალდებულოს, რომელიც პროფესორებმა შეიტანეს თავიანთ თეორეტიულს კურსებში, ერთობ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. თითოეული პროფესორი კვირაში ერთს ან ორს საათს ამ საქმეს ანდომებს. სტუდენტებიც დიდის სიამოვნებით ეკიდებიან ასეთს პრაქტიკულს მუშაობასა და ყოველთვის მრავალი ესწრება თავისს რიგს გარეშეც. მრავალრიცხოვანს ფაკულტეტებზედ, როგორიცაა, მაგალითად, საფიზიკო-სამათემატიკო და იურიდიული ფაკულტეტი, სტუდენტები ჯგუფებათ არიან დაყოფილნი, თითოში 50—60 კაცი და პრაქტიკულს მუშაობაში ასე ნაწილ-ნაწილად იღებენ მონაწილეობას, რომ მეცადინეობა ნაყოფიერი იყოს და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. თითოეულს ასეთს ჯგუფს რომელიმე პროფესორი ან პრივატ-დოცენტი ჰხელმძღვანელობს. ისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტზედ სტუდენტები სამეცნიერო რეფერატებს კითხულობენ და აქვე არჩევენ პროფესორის ხელმძღვანელობით. რეფერატების შინაარსი წინადვე ცხადდება და ყოველთვის აურებელი სტუდენტები ესწრებიანო, სწერს გაზ. „Сѣв. Курьеръ“. აღნიშნულ რეფერატების კითხვა ძალიან წააგავს ადრევ არსებულს სტუდენტთა სამეცნიერო-სალიტერატურო საზოგადოებას, რომელიც 1887 წელს იქმნა დახურული პეტერბურგში. არ შეგვიძლიან ასეთს სასარგებლო დაწესებულებას უმაღლესს სასწავლებებში თანაგრძნობით არ შევეგებოთ, რადგანაც პრაქტიკული მუშაობა, ამხანაგთა შორის რეფერატების კითხვა პროფესორთა ხელმძღვანელობით და აზრთა გაზიარება სტუდენტთა შორის პირველი საშუალებაა შეგნებულად მომზადებისა ყოველს სპეციალურს საგანში და საუკეთესო თავდებია, რომ მომავალ მოღვაწეობისათვის ჩვენი ახალგაზრდანი უმაღლეს სასწავლებლიდგან საკმაოდ მომზადებულნი გამოვლენ.

## სასამართლოს მატიანე

ნიკოლოზ, გედევან და სოლომონ ორჯონიკიძეებისა, სამსონ, იგივე სოლომონ, შოშიტაიშვილისა და პავლე კონდრატიევის საქმე.

(შემდეგი *)

მოწმემ, სადგურ კასპის უფროსად ნამყოფმა, კოზირევსკიმ და სხვა მოწმეებმა განაცხადეს, რომ სოლომონი კარგად სცხოვრობდა, იმას გარდა, რომ სამსახურში 80 მან. იღებდა თვეში, ჰქონდა მამული შემოსავლიანი და აგრეთვე 1897 წელს სიმამრის გარდაცვალებით კარგა ძალი შეძლება დარჩაო.

პელაგია ქარუმიძე. არ მახსოვს, რა დრო იყო, სოლომონის მეუღლემ დამიძახა ჩემს ბაღში და გადმომცა ჩვარში გახვეული ფული შესანახად. ფული მეორე დღეს წაიღეს; ფული არ დამითვალიერებია და არ ვიცი, ნახმარი ბილეთები იყო, თუ ახალი.

გიორგი ქარუმიძემ თითქმის იგივე გაიმეორა.

ერეკლე ართმელაძე. მე ვიცი, რომ შოშიტაიშვილმა აპეკუნისაგან მიიღო 200 მან. და ამითი ვაჭრობა დაიწყო. მისი სავაჭრო მაღაზია ერთი ოთახისაგან შესდგებოდა, რომელშიაც სხვა და-სხვა წვრილმანი სავაჭრო ჰქონდა.

ებრალიძე. შოშიტაიშვილის მამა 1897—98 წლის რუსეთის ოსმალელთან ბრძოლაში მოჰკლეს და ამისათვის იგი ხაზინიდგან შემწეობას იღებდა; მისი სახლი 800 მან. ჰღირდა; ცოტაოდენი მამულიდგანაც ჰქონდა შემოსავალიო.

ყარყევიჩი. შოშიტაიშვილი შორაპანში ყოფნის დროს თვეში 12—14 მანეთამდე იღებდა, შემდეგ ადგილს თავი დაანება და 1897 წლის აპრილში სადღაც წავიდა; შემდეგ ყური მოვკარი, რომ მას ვითომც რაღაც ქურდობა ჩაედინა.

ჰუსეინ-ეფენდი ხოროზი. როცა შოშიტაიშვილს ჩემს სახლში ჰქონდა დუქანი, სულ მისი შეძლება ჩემის შეხედულებით 500 მან. იქმნებოდა, მერე გადავიდა ჩემგან; გამომძიებლისათვის არ მითქვამს, რომ შოშიტაიშვილს 1000 მან. სავაჭრო ჰქონდა დუქანში მეთქი.

შემდეგ მგელაძემ, ჩოპიშვილმა და ცერცვაძემ აჩვენეს, რომ შოშიტაიშვილის დუქანში სავაჭრო 300—400 მან. თუ იქმნებოდაო.

გერუეცმა განაცხადა, რომ ეგ სტოლი (ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი) მე ვიყიდე და საიდუმლო ყუთი არ ჰქონდა გაკეთებული, მხოლოდ შემდეგ შევნიშნე, რომ გაეკეთებინათ, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი—ვის, მგონი ნიკოლოზს უნდა გაეკეთებინოს. ეჭვი ავიღე, რომ საიდუმლო ყუთში რაღაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ეს სტოლი ერთ ადგილზედ არ იდგა და ხშირად რაღაც ბინას უცვლიდნენო.

ნიკოლოზ ორჯონიკიძე. მე ჩემი დანაშაული ვაღიარე, მაგრამ ეს მაწუხებს, რომ ეს მოწამე თავისებურად სთხზავს ამბებს და სიმართლეს სჩრდილავს. მე ჩემს ცოლსაც ვერ ვენდობოდი ხოლმე ყოველის ჩემის საიდუმლოს გამჟღავნებას და საიდგან მოხდა, რომ გერუეცი ჩემის გულის საიდუმლოს მოპასუხედ გამოდის და სთხზავს ამბებს.

თავ. ერისთავი. გედევან ორჯონიკიძემ ჩემგან მართლა იყიდა თივა 570 მანეთისა, ფული ზოგი ოქროსი იყო და ზოგი ქაღალდისა. ქაღალდის ფული, მახსოვს, კარგად ნახმარი იყო. გედევანი საზოგადოდ კარგად სცხოვრობდა, გამრჯელი კაცი იყო და ამასთანავე სარჩენიც არავინ ჰყავდა, თავის თავის მეტი. თივა ჩემგან წ ნადაც უყიდნია ხოლმე.

ივანე ორჯონიკიძე. გედევანი მოვაჭრე იყო, ჰყიდულობდა თივასა და სხვა რამეს და მოგებით ჰყიდდა. ამას გარდა მამულიდგანაც შემოსავალი იმდენი ჰქონდა, რომ საზოგადოდ თივისთვის სამყოფი ფული შემოსდიოდა. იგი ვექილობდა ხოლმე კიდეც.

მოწამემ გერუეცმა, სხვათა შორის, კიდევ ის განაცხადა, რომ როცა ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებიდგან 50,000 მან. დაიკარგა, მე მაშინ ნიკ. ორჯონიკიძესთან ვიყავი. მახსოვს კარგად, რომ ნიკოლოზმა მოიტანა ტფილისის ფურცლის ერთი ნომერი, სადაც ამოვიკითხე ფულების დაკარგვის ამბავი.

ბრალმდებლის ამხანაგმა სთქვა, რომ მართლაც ეს ამბავი ყოფილა დაბეჭდილი „ტფ. ფურცელში“ 1897 წლის 17 აგვისტოს 190 №-შიო. ამიტომ საჭიროდ დაინახეს წაეკითხვინებინათ გერუეცისათვის ის ადგილი, რომელშიაც მოთხრობილი იყო 50,000 მან. დაკარგვის ამბავი. გერუეცმა მკაფიოდ წაიკითხა.

მოწმე-ქალი გურიელოვისა. გერუეცი მოვიდა ჩემთან ზაფხულში.

*) იხ. „ივერია“ № 234.

ხვეწის თვალ წინ ვერაფერი სურათი გადაიშალა.

აღმოჩნდა, რომ ხუთი სხვა-და სხვა ამხანაგობა—კინოკისა, ბირმინგამისა და სხვანი მთლად ჩემბერლენის ცოლისა, შვილებისა, ქალებისა, ძმებისა, დებისა და ნათესავების ხელში ყოფილა. საყურადღებო ის არის აქ, რომ ფლოტი და სამხედრო სამინისტრო ამ ამხანაგობათაგან იძენს იარაღს და სხვა ნივთებს. საადმირალოში იჯარების საქმეთა გამგეობა მინისტრმა თავისს შვილს ჩააბარა ბინა, ხოლო სამხედრო სამინისტროში—თავისსავე კრეატურას პაველ ვილიამს. პირველმაც და მეორემაც იჯარები კინოკის ამხანაგობას გადასცეს, თუმცა ამ ამხანაგობის ფასები ბევრად უფრო დიდი იყო სხვა მოიჯარადრეთა ფასებთან შედარებით. ამის გამო მთავრობასაც-კი შეეკითხნენ პარლამენტში. ჩემბერლენმა დიდის ამბით გამოაცხადა, რომ „მე ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა მაქვსო.“ მაგრამ მოწინააღმდეგეთ იპოვნეს ოფიციალური, შემოწმებული პირობის წერილი ამ ამხანაგობათა ერთ საზოგადოებად გაერთიანების შესახებ. მერე რა აღმოჩნდა: სიაში მთავარ აქციონერად მოქცეულია თვით იოსებ ჩემბერლენი, იმას მისდევენ ცოლი, შვილები ძმები და ნათესავები... ამ პირობის წერილის შემდეგ-კი საქმის მიჩქმალვა აღარ შეიძლებოდა. აშკარა შეიქმნა, რომ სახელმწიფოს საზარალოდ მინისტრი თავისს კერძო საქმეებს აკეთებდა; ხოლო ამ გვარი რამ ინგლისში დიდი, დიდი ხანია აღარ მომხდარა.

მინისტრის მომხრეთა და მეგობრთ სხვა ნაირად მოუარეს საქმეს და სიყალბეზედ გააბეს ლაპარაკი (ამტკიცებდნენ, რომ პირობის წერილი ყალბიაო), მაგრამ საბუთის ქაღალდი სამმერსეტ ჰაუზში ინახება, მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებაში. სიყალბეს ამ საქმეში ადგილი არა აქვს. პარლამენტის მოქმედების დაწყების დროს ვნახავთ, პატიოსანი კაცები რა მხნეობით შეუდგებიან მძარცველობის და მტაცებლობის გამოაშკარავებას.

მძარცველ ფინანსისტებსა და ყაჩაღების პატრონთ წინამძღოლიც მძარცველი ჰყავთ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ხოლო სასარგებლოა თუ არა ყველა ეს სახელმწიფოსთვის? და დიდხანს გასტანს თუ არა განათლებულ „ჩუმაზთა“ ბატონობა?—საკითხი აი ეს არის.

ვ. მარველი

კარგად არ მახსოვს, მკათათვე იყო თუ თიბათვე.

მიხეილ უიკიანი. 1897 წლის 6 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, მე ვნახე გედევან ორჯონიკიძე გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთში ეკკლესიაში, მეორე დღეს, 7 აგვისტოს იგი დაპატიჟებული იყო გაბაშვილისას სტუმრად; გედევანთან იყო აგრეთვე ნიკოლოოზ ნემსაძე, მეორე დღეს მე წამოვედი და არ ვიცი, გედევანი სად წავიდა.

ნიკ. ნემსაძე. სოფელს ქვიშხეთში დღესასწაულობენ 6 აგვისტოს ფერისცვალებას და ბევრი სტუმრიანობაც იციან. გედევანი 6 აგვისტოს ეკკლესიის ეზოში ვნახე და მეორე დღეს 7 აგვისტოს მასთან ერთად დაპატიჟებული ვიყავი სტუმრად გაბაშვილისას. 8 აგვისტოს სტუმრები მასპინძელს გამოვემშვიდობენით და დავიშალენით. გედევანი საით წავიდა, არ ვიცი.

ბრალმდებლის ამხ. ეგებ ხსოვნა გღალატობს? კარგად გახსოვს, რომ ეს ამბავი 1897 წელს იყო?

ნემსაძე. მახსოვს მით უფრო, რომ ჩვენში დღესასწაულის გარდახდა დიდის ამბით იციან და მეოთხე წელიწადი იქნება იმ დროიდგან, რაც გედევანთან ერთად შემთხვევა მქონდა გაბაშვილისას სტუმრად ყოფნისა.

სპირიდონ კიკნაძე. გედევანმა ჩემგან ისესხა ფული თავის სასყიდლად

ხვარავა. 1898 წელს გედევანმა მთხოვა, რომ თივას ვყიდულობ და ფული მასესხეო. ოცდაათი თუმანი ვასესხე. მოწმემ სასამართლოს წარუდგინა სურამის ნოტარიუსის მაჭავარიანთან 1898 წ. ივლისში შემოწმებული 300 მან. თამასუქი, რომელიც გედევანისაგან მიიღო.

მოწმეს თავ. ერისთავს ჰკითხეს, როცა გედევანი თივას გევაჭრებოდა, ხომ არ გახსოვს, რომ იგი ფულის საშოვნელად სადმე წასულიყოო. ერისთავმა მიუგო: კარგად მახსოვს, გედევანი რამდენისამე ხნით წავიდა ფულის საშოვნელად და გაჯავრდა კიდეც, როცა მოვიდა და დაინახა ჩემთან სომეხი ვაჭრები, რომელთაც უთხრა: რა დაგემართათ, კაცს არ აცლით ამოსუნთქვას, საქმეს ხელიდგან ჰგლეჯავთო.

მოწ. თავ. ამილახვარი. სოლომონ ორჯონიკიძეს ვიცნობ 1885—86 წლიდგან. მეც იმის ახლო რკინის გზის სამსახურში ვიყავი. ვიცი კარგად მისი შინაური მდგომარეობა. კარგად სცხოვრობდა; თვიურად ჯამაგირი 80 მ. ექნებოდა; ჰქონდა მამულის შემოსავალი და აგრეთვე 1897 წელს მოუკვდა სიმამრი და საკმაო ქონება დარჩა; სადგურ კასპში გამართული იყო ფულების შემნახველი კასსა, რომელშიაც სოლომონს 600—700 მან. ჰქონდა შენახული.

ექსპერტის ი. ტაუგლიხის ჩვენებით, ყალბის ბეჭდის გაკეთება ორ-სამი საათის განმავლობაში შეიძლება. ბეჭდის გაკეთება შეუძლიან თითქმის ყველა ოქრომჭედელს და გამოცდილს ზეინკალს.

მოწმების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ბრალმდებელის ამხანაგმა განაცხადა სურვილი გარდაცვლილ მოწმების ეკატერინე კონდრატიევისა, გრიგოლ ორჯონიკიძისა, თეთრაძისა და სხვა, სასამართლოში არ მოსულთა, მოწმების გამომძიებელთან ჩამორთმეულ ჩვენების წაკითხვა.

შოშიტაიშვილისა და პავლე კონდრატიევის ვექილი გ. გვაზავა: სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-705 მუხ. თანახმად, მოუხერხებლად მიმაჩნია საჯაროდ ეკატერინე კონდრატიევის ჩვენების წაკითხვა, რადგანაც, როდესაც მას გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა, მაშინ ფიქრადაც არა ჰქონია ის გარემოება, თუ ქმარი პასუხის გებაში იქმნებოდა მიცემული. რადგანაც ეკატერინეს ქმარი პავლე დღეს ბრალდებულის სკამზედა ჰზის, ამიტომ ვთხოვ სასამართლოს უყურადღებოდ დასტოვოს ბრალმდებელის ამხანაგის თხოვნა ეკატერინეს ჩვენების წაკითხვის შესახებ. სასამართლომ სხდომა შესწყვიტა ამ საქმის გადასაწყვეტად. ოცის წუთის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა თვისი განაჩენი, რომლითაც შეიწყნარა ბ-ნ გვაზავას თხოვნა. შემდეგ წაკითხულ იქმნა 12 მოწმის ჩვენება, ბრალმდებელის ამხანაგის სურვილის თანახმად.

(დასასრული იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

კოლონჟში, ლიონის მახლობლად (საფრანგეთში), ამას წინად გარდაიცვალა სენატორის ქვრივი ქ-ნი პერრე. გარდაცვალებულს დიდ-ძალი ქონება დარჩა, რომელიც რამდენსამე მილიონს აღემატება თურმე. პირველი მემკვიდრე ამ ქვრივისა საფრანგეთის პრეზიდენტი ემილ ლუბეა, ასე რომ მალე იგი მილიონერი შეიქმნება.

* * *

ერთ ამერიკელ ინჟენერს, გვარად რეპინს გამუზრახავს ამერიკისა და ევროპის შუა ტელეფონის გამართვა. რეპინს უნდა ტელეფონით სან-ფრანცისკო და ლონდონი შეაერთოს. რეპინს განსაკუთრებული მანქანაც კი მოუგონია, რომელიც ტელეფონით ლაპარაკს გაადვილებს.

* * *

იტალიელ პაჩინოტის ელექტრონის თოფი გამოუგონია. გამომგონი არ ამხელს, როგორ შეიძლება ასეთის თოფის გაკეთება, მხოლოდ აცხადებს, რომ ამ თოფს გასროლის დროს ხმა არა აქვსო. ტყვიას ახალი თოფი დიდ მანძილზედ ისვრის თურმე. ამას გარდა ეს თოფი სახმარებლადაც ძალიან ადვილია. იტალიის მეფეს ვიქტორ-ემმანუილს განსაკუთრებული კომისია დაუნიშნია იმის გამოსაკვლევად, რამდენად გამოდგება ომში ახალი თოფი.

* * *

ამას წინად ქ. ბამბერგში ერთ სამეცნიერო საზოგადოების კრებაზედ პროფესორქალს ლიდია კემპნერს საყურადღებო მოხსენება წაუკითხია ჭლექის ბაცილების შესახებ. თავისის გამოკვლევებით ამ ახალგაზრდა ქალმა უკვე მიიქცია ევროპის მეცნიერთა ყურადღება. კემპნერი რუსეთის ქვეშევრდომი და აქაურს გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულია. შემდეგ კემპნერმა ბერნსა და ციურიხში იურისპრუდენცია შეისწავლა და დოქტორის ხარისხი მიიღო. 1894 და 1895 წელს იგი ბერლინის ლაბორატორიაში მეცადინეობდა რობერტ კოხის ხელმძღვანელობით შემდეგ კემპნერი ფილადელფიის უმაღლესს დედათა კოლეგიამ მიიწვია დოცენტად და საბაქტეოროლოგიო ლაბორატორიის გამგედ. ორის წლის წინად ახალკაზდა დოცენტი ექიმ კემპნერს მისთხოვდა. ამას წინად კემპნერს პროფესორობაც მიანიჭეს, წინანდელი გვარი კემპნერისა რაბინოვიჩია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „მართებლობის უწყებაში“ დაბეჭდილია იმ დეპეშის თარგმანი, რომელიც გაუგზავნია მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის: „ლივადია, 21 ოქტომბერი. **თქვენის განთქმულის წინამოადგილის მეგლის დადგმამ ცხოვლად გამახსენა ის შესანიშნავი დღეწლი, რომელიც გაუწია განსვენებულმა პრეზიდენტმა კარნომ საფრანგეთს, და ის მხურვალე მონაწილეობა, რომელიც მიიღო მან არსებითად მშვიდობიანობის მოყვარეობის აზრით ჩვენის მეგობარ და მოკავშირე ქვეყნების მჭიდროდ დაკავშირების დარგს საქმეში. შემოგზავნეთ რა სრულის გულით აწინდელს დღესასწაულს, გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, ყოველთვის გრწამდეთ გრძნობანი ჩემის გულწრფელისა და შეუცვლელის მეგობრობისანი“.**

თარგმანი დეპეშისა, რომელიც მიღებულ იქმნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელობაზედ: „ლიონი, 22 ოქტომბერი. ულრმეს მადლობის გრძნობით ამავსო დიდ-სულოვანმა სურვილმა თქვენის უდიდებულესობისამ, რომ მონაწილეობა მიიღოთ ქალაქ ლიონის მიერ პრეზიდენტის კარნოს ხსენების პატივისცემაში. საფრანგეთი დიდად დააფასებს ამ ახალს ნიშანს გულითადის თანაგრძნობისას. არცა იგი ივიწყებს იმ მონაწილეობას, რომელიც მიიღო თქვენმა ღირსქებულმა მშობელმა არსებითად მშვიდობიანობის მოყვარეობის აზრით, თქვენის მშვენიერის თქმულებისამებრ, ჩვენის მეგობარ და მოკავშირე ქვეყნების მჭიდროდ დასაკავშირებლად და უმოწიწებულესად აერთებს თავისს პატივისცემასა და მეხსიერებაში (ახელებს ალექსანდრე III-სასა და კარნოსას. არა მარტოოდენ პირად ჩემის, არამედ მთელის საფრანგეთის სახელითაც მოვმართავ თქვენს უდიდებულესობას და გრძნობით აღსავსე მადლობას მოვახსენებ. ამასთანავე გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ რწმუნება ჩემის გულითადისა და შეუცვლელ მეგობრობისა“.

**სევასტოპოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრი მოვიდა გუშინ დილით და მაშინვე იალტაში წავიდა.

**პეკინი.** ორი ბატალიონი ზღვის ქვეითა ჯარისა და ზუავებისა, ორი ბატარეია და ერთიც ესკადრონი წავიდნენ კუნლინს, რათა დაიპყრან საიმპერატორო ტაგრუცნი.

**პეკინი.** დიდად წარჩინებული ჩინელი ამბობს, რომ ჩინეთის სამხრეთით ამბოხების მზადებაში არიანო. ვაჭრობა შეჩერებულია, შემოსავალი კლებულობს, დიდად საეჭვოა, რომ სახელმწიფო ვალი გარდახდილ იქმნას.—ცინი და ლიხუნგჩანგი მზად არიან შეიწყნარონ ევროპის წინადადებანი, დელკასეს წინადადებათა საფუძველით, ხოლო ამათ წარდგენას ელჩები სხვა დროისთვის ჰპირდებიან და ამ ჟამად მეორე ხარისხოვან საგნებს განიხილავენ. ცინსა და ლიხუნჩანგს უკვე ეჭვი ეპარებათ, რომ შესაძლებელ იყოს მერმისის პასუხის მგებლობა იკისრონ. საიმპერატორო ტაგრუცის დაპყრობის საქმე დაწყებულია პიშონის წინადადებით და საგნად აქვს ჩინეთის საქმის გარდაწყვეტა დააჩქაროს. ჩინელებისათვის ტაგრუცის დაპყრობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც იმპერატორისა და იმპერატრიცას დატყვევებას. პაოტინფუს სახელიანნი კაცნი დიდად ემადლიერებიან ფრანგებს იმის გამო, რომ მცხოვრებლებს საკუთრება შეარჩინეს, და ამისათვისვე გენერალს ბაიიუს დიდ ძალი ფული შეაძლიეს. გენერალმა უარი განუცხადა და მიიღო მხოლოდ ცხვრის ტყავები ჯარის-კაცების ტანთ-საცმელის დასასარჩულებლად. პიშონის ჯანმრთელობა კმა-საყოფელია.

**ტიან ძინი.** გენერალს კემპელს, რომელიც, როგორც უკვე იყო ნაუწყები, პაოტინფუდგან დაბრუნდა აქა, გზად არავითარი ღირს-შესანიშნავი წინააღმდეგობა არ დახვედრია. მას ზარბაზნები დაუშენია „დიდის მუშტის“ მომხრეთა 26 სოფლისათვის, ცეცხლი წაუკიდებია ამ სოფლებისათვისვე, გენანცინის სიმაგრეები დაუნგრევია და იძულებულუყვია მსაჯული იევჩეინი დაეპატიმრებინა მისის ოლქის „დიდის მუშტის“ მომხრენი, დაესაჯა და ქრისტიანეთათვის ჯილდო მ ეცა.

**ნიუ-იორკი.** როგორც პეკიდგან დეპეშით იუწყებიან, იქ მისულა გენერალი იენი ვითარცა ვეზირი ჩინეთის სამშვიდობიანო კომისარებისა.

**პეკინი.** ჩინეთში ოფიციალურ მიწერ-მოწერის დროს მიღებულ იმ ჩვეულების წინააღმდეგ, რომლითაც საბუთის ქაღალდს სათაურშივე აწერია ხოლმე ვინაობა იმ დიპლომატისა, რომლისაგანაც იგია გაგზავნილი,—ეს წესი არ იყო დაცული სამშვიდობიანო მოლაპარაკების რწმუნებულთა ლიხუნგჩანგისა და ცინის ნოტაში, რომლითაც იგინი საჩივარს აცხადებენ, რომ ვითომ მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარი პეკინსა და პაოტინფუს შუა ხალხსა სძარცვავს და ძალ-მომრეობსო. შეეკითხნენ ამის შესახებ ჩინეთის მთავრობის დაწესებულებათ და მათ განმარტეს, რომ სახელების აღუნიშნელობით განზრახვა ჰქონიათ ელჩების მიმართ თვისი უპატივცემულობა განეცხადებინათო. დიდს სახელმწიფოებს ჯერ არ გარდაუწყვეტიათ, როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევისა გამო ჩინელთა მიმართ. გერმანიისა, დიდის ბრიტანიისა, საფრანგეთისა და იტალიის ელჩები უარს განაცხადებენ და ნოტას არ მიიღებენ, დანარჩენნი სახელმწიფონი-კი უჭველია ყურადღებას არ მიაქცევენ ამ ნოტას.

**შანხაი.** პაოტინფუს სამხედრო სასამართლოს ბრძანებით, დახვრეტილ იქმნენ ჩჟილიტინიუნის პროვინციის ვიცე კოროლის მოადგილე თათართა გენერალი კუეკენი და პოლკოვნიკი ვანჩჟოუე. სავაჭრო უწყების თავმჯდომარე ჩჟუნლი დაპატიმრებულ იქმნა ფრანგების მიერ პეკინს ახლოს.

27 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გროდნის გუბერნატორს დობროვოლსკის ებრძანა უმართებულესის სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორად ყოფნა.

**პეკინი.** საფრანგეთის ჯარის უფროსებმა უკმაყოფილება განაცხადეს იმის გამო, რომ გერმანიისა და იტალიის ჯარი თავს დაესხა ჩინელებს პაოტინფუში; მათ განაცხადეს, რომ ჩინელებ პაოტინფუში ჩვენის მფარველობის ქვეშე იმყოფებიანო.

გენერალს ბ ლიუს უნდოდა ქალაქის პოლიციის უფროსად საფრანგეთის ოფიცერი დაენიშნა, მაგრამ ინგლისის ჯარის უფროსი წინააღუდგა ამას და პოლიციის უფროსად გერმანიის ჯარის კაპიტანი დანიშნა.

საფრანგეთის ჯარის ზუავმა შეცდომით მოჰკლა იტალიის ზღვაოსანი ჯარის-კაცი, რის გამოც იტალიის ჯარის ბანაკში დიდი მღელვარება მოხდა; ჯარის-კაცნი მხოლოდ ოფიცერთა საქმეში ჩარევამ დაამშვიდა.

**პრეტორია.** ხმა დადის, რომ გენერალი დევეტი ფეხში იქმნა დაჭრილი რენსბერგდრიფტთან მომხდარს ბრძოლაში.


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფ ხი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე